პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
19
სექტემბერი
№ 220
(16346)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

მეცნიერება—ცხოვრებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ სახალხო ინტელიგენციას, თქვენ, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს:

მთელი ძალ-ღონე მოახმარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას; განამტკიცეთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან; უფრო სწრაფად დანერგეთ პრაქტიკაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები; იბრძოლეთ საბჭოთა კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი აყვავებისათვის; თქვენი შემოქმედებით აღაფრთოვანეთ ადამიანები ახალი შრომითი გმირობისა და სასახელო საქმეებისათვის; კვლავაც პარტიის ერთიანი თანაშემწენი იყავით, რათა აღზარდოთ ახალი ადამიანი, ჩვენი ახალგაზრდობა კომუნიზმის იდეალების, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართველობიდან.

ქართული მეცნიერების დიდი ავტორიტეტი

გუშინ, 18 სექტემბერს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა ქართული მეცნიერების შტაბისათვის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის მინიჭებას. მთავრობის ეს მაღალი ჯილდო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას მიენიჭა საბჭოთა მეცნიერების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციური მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის.

18 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზეც აკადემიას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გ. ბილასვილი, ზ. ა. კაბარიძე, ვ. ფ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. ჯაბაიშვილი, შ. ვ. ყარაბაშვილი, ე. ა. შარმანავა, ო. ე. ჩერქეზიანი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების დელეგაციათა წევრები, თვალსაჩინო მეცნიერნი, კულტურის მოღვაწენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელნი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯაბაიშვილმა. მან ქართველ მეცნიერებს გულთბილად მიუღოცა მთავრობის მაღალი ჯილდო, უსურვა შემდგომი წარმატებანი სამაშულო მეცნიერების განვითარებაში.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს.

როცა ორდენით აჯილდოებენ ღვაწლმოსილ, პატივცემულ ადამიანს, — თქვა მან. — ეს მისთვის დიდი სიხარული, მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი დღეა. როცა აჯილდოებენ სწავლულს, ორგანიზაციას, დაწესებულებას — ეს დიდი სიხარულია ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის, სიხარულია მთელი კოლექტივისათვის. ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოება ი მთელი ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის სიხარულია.

აი რატომ არის, რომ დღეს საზეიმო სხდომაზე, რომელიც ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას, რომელიც მას მიენიჭა საბჭოთა მეცნიერების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციური მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის, მოვიდნენ ჩვენი წამყვანი მეცნიერები, საზოგადოებრიობის, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დღევანდელ ზეიმზე ჩამოვიდნენ ძირთადი სტუმრები — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია. რომელსაც მეთაურობს გამოჩენილი მათემატიკოსი და თეორეტიკოსი ფიზიკოსი, მეცნიერების უთავსაჩინოესი ორგანიზატორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების laureate, აკადემიკოსი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ჩვენი სიხარულის გასაზიარებლად ჩამოვიდნენ კიევი და ყველაზე ახლობელი მეზობლები — აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფიზიკა-ტექნიკისა და მათემატიკის მეცნიერებათა გაყოფილების აკადემიკოს-მდივანი ა. ი. ჰუსეინოვი, და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ს. ა. ამბარცუმიანის მეთაურობით.

ე. ა. შევარდნაძე რესპუბლიკის მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა, რომ მონაწილეობენ ზეიმში, რომელიც ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას.

ჩვენ შევიკრიბეთ, თქვა შემდეგ ორატორმა, ღირსშესანიშნავ დროს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავის დღესასწაულის წელს, რომელსაც მეორედ მიენიჭა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციური მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენი საკავშირო აკადემია — ქვეყნის მეცნიერული აზრის გენერალური შტაბი—თვითეული საბჭოთა ადამიანის განსაკუთრებული სიამაყისა და პატივისცემის საგანია.

გთხოვთ, ჩვენი სახელით მხურვალედ მიულოცოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ეს მაღალი ჯილდო და ქვეყნის ყველა მეცნიერს უსურვოთ შემდგომი წარმატებული მეცნიერული კვლევა-ძიება და შესანიშნავი აღმოჩენები.

ეუოლოგიურ აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებს მათი მეცნიერებათა აკადემიების ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოებ-ს.

ღრმად სიმბოლურია, რომ ამ ორდენით დაჯილდოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის აკადემიები. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ მომავალ მეცნიერებათა აკადემიებმა ყველა თავიანთი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში, გაერთიანებული ლენინიზმებით.

ხალხთა მეგობრობა! რა ბევრისმთქმელია ეს სიტყვები თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია წარსული ჩვენი ქვეყნის ხალხებისა, რომლებმაც ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ, ბოლშევიკების მეთაურობით მოახდინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, აშენეს სოციალიზმი. ეს სიტყვები გამოხატავენ დიდ სამამულო ომში დაუვიწყარ გამარჯვებას, რომელიც გერმანიის ფაშიზისა და იაპონიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში 30 წლის წინათ მოიპოვა კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებულმა ყველა ჩვენმა ხალხმა. ეს სიტყვები გამოხატავენ ჩვენს შესანიშნავ აფაყს, ნათელ, მშვენიერ მომავალს — კომუნიზმს, რომლის შენობას გულდაჯერებით აგებენ ჩვენი მძლავრი სამშობლოს ყველა ხალხი დაეროვნება რუსი ხალხის მეთაურობით.

ჩვენს ქვეყანაში, თქვა ლენინიოლიან-ძე ბრეჟნევმა მოხსენებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის შესახებ, იშვა და განმტკიცდა საერთო კლასობრივი ინტერესებითა და მიზნებით გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების მშრომელი ადამიანების დიადი ძმობა, ჩამოყალიბდა ისტორიაში უმაგალითო ურთიერთობა, რომელსაც სამართლიანად ეუწოდებთ ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოებას განსაკუთრებული აზრი აქვს იმიტომ, რომ ქართული მეცნიერება ვითარდებოდა და კვლავაც ვითარდება საბჭოთა კავშირის მთელ მეცნიერებასთან, მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებასთან და, პირველ რიგში, დიდი რუსი ხალხის მეცნიერებასთან მჭიდრო ურთიერთქმედებით. ქართულ მეცნიერებაზე კვლავინდებურად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ ქვეყნის, განსაკუთრებით მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდესი სამეცნიერო ცენტრები. ამავე დროს ქართულ მეცნიერებასაც, ქართველ მეცნიერებს ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების საგანძურში.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ რუს მეცნიერებთან ქართველ მეცნიერთა მეგობრობასა და მეცნიერულ თანამშრომლობას ღრმა ისტორიული წარსული აქვს, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მთელი რიგი გამოჩენილი ქართველი მეცნიერნი ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის მეცნიერებასა და მშრომელ ხალხს. ამ თანამშრომლობამ განსაკუთრებული აზრი შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენს დროში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებიდანვე მეცნიერულ კვლევას ყოველმხრივ უჭერდა მხარს სახალხო ხელისუფლება. პირადად ვ. ი. ლენინი დიდ უურადღებას უთმობდა მეცნიერებათა აკადემიას, მეცნიერთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს. პროლეტარიატის დიდმა ბელადმა, რომელიც მეცნიერებათა

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გადასცემენ ხალხთა მეგობრობის ორდენს.

გ. კიკვაძისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალური ვიზიტით

საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და სახელმწიფოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით ამა წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და სახელმწიფოს დელეგაცია ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ჰონეკერის მეთაურობით.

ვ. ი. ლენინის მოკლვრეგა და საქმე უკვდავია

ზამოიცემლობა „მისლ"-ში ამ სახელწოდებით გამოუშვა წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია მასალები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის შესახებ, რომელიც 1974 წლის 18-21 იანვარს გაიმართა.

კრებული იწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის მესაგალი სიტყვით. წიგნში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მოხსენება. სხვა მოხსენებანი და სამეცნიერო ინფორმაციები, რომლებშიც გაშუქებულია თანამედროვე ეპოქის დროშის — ლენინიზმის იდეების შემოქმედებითი ხასიათი და უძლეველი ძალა.

(საკვანძო).

კადრების ეკონომიური მომზადება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დარგობრივ განყოფილებებთან ერთად მოაწყო თათბირი, რომელზეც განიხილეს საკითხი, თუ როგორ ასრულებენ სამინისტროები და უწყებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ".

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ეკონომიური განათლების საბჭოების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების, საკავშირო ბიუროებს, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის", ცენტრალური დარგობრივი გაზეთებისა და ჟურნალების პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენებანი წაიკითხეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ა. ტიტარენკომ და სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ბ. ს. ფორეიმა. გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება. ივსებოდეს 1975-1976 სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე. ეკონომიური განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივებზე. თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ა. მედვედევმა.

საკადრესის ცნობა

ვიზიტი ავს „კოსმოს-760"

1975 წლის 16 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-760".

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საორბიტალო კომპლექსი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.



რთველი — დროით, უდანაკარგოდ!

სად რამდენი მოიკრიფა

(18 სექტემბრისათვის)

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	75.511
თელავი	45.000	37.250
ყვარელი	29.000	21.388
სიღნაღი	24.485	28.970
ახმეტა	23.000	15.935
საგარეჯო	20.000	8.271
წითელწყაროო	19.000	14.261
ლაგოდეხი	5.500	4.873
მარნეული	15.860	7.772
გარდაბანი	9.200	2.250
მცხეთა	10.000	1.795
გოლნისი	8.725	3.216
ზესტაფონი	26.850	178
თერჯოლა	18.100	168
მაიაკოვსკი	14.300	347
საჩხერე	5.450	466
ორჯონიკიძე	5.350	169
სულ მოკრეფილია		222.375

ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად ვკრიფოთ ყურძენი და მივიტანოთ ღვინის ქარხნებში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დაგვიანებული დღე, საათი ნიშნავს საგრძნობლოს დაკარგოთ ტონობით ყურძენი.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ხანმოკლეა რთველი, მით უფრო მეტია გამოსავლიანობა.

კარდანახელთა წვლილი

კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 12 ხამუშაო დღეში მოკრიფა და ღვინის ქარხანას ჩაბარა 4.086 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.800 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 4.000 ტონისა.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეეტანეს ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები ი. მანოშვილი, ხ. ტურიაშვილი, ნ. ყოფიაშვილი, გ. ბარამაშვილი, გ. ტყავაშვილი, ა. ამირაშვილი, თ. კორკოტაშვილი, კ. ჩიხვაშვილი, ზ. დურგლიშვილი და თ. შაკაიშვილი ხელმძღვანელობენ. ყოველდღიურად 1.400-1.500 კილოგრამ ყურძენს კრეფდნენ მოწინავე მუშები ლ. გოგიშვილი, ლ. ბეჟამშვილი, მ. ტატელოშვილი, თ. შველიძე, ლ. ტატელოშვილი, თ. ტურიაშვილი, მ. ხუციაშვილი და სხვები.

მეურნეობის კოლექტივი პირობას იძლევა მეათე ხუთწლედის უფრო უხვი მოსავლის მიღებას ჩაუყაროს საფუძველი. ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა კომიტეტმა, მუშათა კომიტეტმა და კომკავშირის კომიტეტმა.

ვალდებულების გადამეტებით

უვარელი. (საკ. კორ.). გრეგის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი გ. ხოსროშვილი) მოკლე დროში და უდანაკარგოდ ჩაატარა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის რთველი.

საბჭოთა მეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 500 და სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 600 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 737 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

საკარმიდამო ნაკვეთიდან

საგარეჯო (სპეც. კორ.). საზოგადოებრივ მეურნეობებთან ერთად მოსახლეობამ დაიწყო საკარმიდამო ნაკვეთებში მოკრეფილი ყურძნის სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

რაიონში პირველმა თავისი საკარმიდამო ნაკვეთში აღებული 2.190 კილოგრამი ყურძენი სახელმწიფოს მიჰყიდა სოფელ შიბლიანის მცხოვრებმა გიორგი ნიკოლოზის-ძე ზიარაქაშვილმა და მიიღო 1.100 მანეთი, სოფელ ყანდაურის მცხოვრებმა ნოგაზარ ბაბვის-ძე ყავახიშვილმა 2.277 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 1.200 მანეთი მიიღო. ამავე სოფლის მცხოვრებმა ნოდარ დიმიტრის-ძე ებიხაძემ სახელმწიფოს 2.380 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 1.250 მანეთი მიიღო.

ნორვეგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოეგის ცენტრალურ გამგეობას

გულითადად მიესალმები ნორვეგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ცენტრალურ გამგეობასა და წევრებს, საბჭოთა კავშირის ყველა მეგობარს ნორვეგიის ქვეყანაში და ეულოცავ საზოგადოების შექმნის 30 წლისთავს.

თქვენი საზოგადოების ოუბილე ემთხვევა ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს — გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავს, რომელიც მოპოვებულია უდიდესი მსხვერპლის ფასად. და დღეს ჩვენ ღრმა კმაყოფილებს ვგრძნობით ვხედავთ, თუ როგორ ხდება მშვიდობისმოყვარე ძალების თანმიმდევრული ბრძოლის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში არსებითი ძვრები, რომლებიც შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასრულებით დამთავრება ხელს უწყობს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას, შექმნის პერსპექტივებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხების მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზაზე შემდგომი წინსვლისათვის. ამ ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრიობას, მის სხვადასხვა ორგანიზაციას.

საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ და დიდად აფასებენ ნორვეგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების საქმიანობას, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების გაფართოების საქმეში. ნორვეგიისა და სსრ კავშირის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში.

გულწრფელად ვუსურვებ ნორვეგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებას შემდგომ წარმატებებს იმ კეთილშობილური მისიის განხორციელებაში, რომელიც შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმის.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

გაიკალ-ამურის მაგისტრალის ათვისების პროგლემები

ჩიტა. 18 სექტემბერი. (საკუთარი კორ. ლ. ფადეევი). დღეს დამთავრდა პირველი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონის სამეურნეო ათვისების პრობლემები".

საკვლევის კორესპონდენტის თხოვნით კონფერენციის მუშაობა განმარტა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ა. გ. აგანბეგიანმა:

— ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონის სამეურნეო ათვისება უდიდესი სახალხო-სამეურნეო პროგრამაა. მის შემუშავებაში ჩაბმულია დაახლოებით სამასი ინსტიტუტი. მიუხედავად იმისა, რომ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონაში აღმოჩენილია მადნის დიდი რაიონები და ქვანახშირის აუზები, უდიდესი ტერიტორია მაგისტრალის გასწვრივ ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი. შედეგომი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შედეგად, რა თქმა უნდა, გამოვლინდება სასარგებლო წიაღისეულის ახალი დიდი საბადოები. გადაწყდა, კი არ დაგვაკმაყოფილოთ ძალები და სახსრები, არამედ ძიება და დაზვერვა ვეწარმოოთ ტრასის გასწვრივ. ეს შესაძლებელს გახდის გამოვავლინოთ ეკონომიური თვალსაზრისით ხელსაყრელი საბადოები და მაღაროები.

ტრასის გასწვრივ შეიქმნება დიდი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები.



აჭარის მეთამბაქოეთა ნოგათი

პარტიის XXV ყრილობის ალსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, აჭარის მეთამბაქოეებმა 15 სექტემბრისათვის **გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხმელი თამბაქოს მიყიდვის ხუთწლიანი დავალება.** სახელმწიფოს მიეყიდა 11.329 ტონა ხმელი თამბაქო ნაცვლად ხუთწლიანი დავალებით ათვალისწინებული 11.189 ტონისა.

აჭარის მეთამბაქოეები განაგრძობენ ხმელი თამბაქოს დამზადებას და ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.270 ტონა ხმელი თამბაქო. ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კაპანაძემ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ჯაშმა.

ქართული მეცნიერების დიდი ავტორიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

აკადემიას ქვეყნის უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად ჩაიჩნევდა, მისი ამოცანები განსაზღვრა თავის ცნობილ „მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის ჩოხასაზში“ და მოგვცა ქვეყნის მთელი მეცნიერულ-ტექნიკური ძალების საქმიანობის ფართო პროგრამა.

სოციალიზმის მშენებლობაში მეცნიერების ჩაბმის ლენინურმა გეგმამ მეცნიერთა წინაშე დასახა მეცნიერების დიდი იდეალების, ხალხის სამსახურის იდეალების განხორციელების ჭეშმარიტი გზა და მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ეტაპზე, დიდი სამამულო ომის მრავალნი წლებში საბჭოთა მეცნიერები იყვნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის აღმაფლობისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

ე. ა. შევარდნაძემ დაწერილებით ილაპარაკა საქართველოში დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ეს პირველი ცდა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ბაზაზე შეიქმნა შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. ხოლო 1941 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ამ სასიხარულო დღეს, თქვა ორატორმა, არ შეიძლება აღვილი სიტყვებით არ მოვიხსენოთ დიდი ქართველი მეცნიერები — ი. ა. ჯავახიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი ს. ბ. მელიქიშვილი და ყველა ის, ვინც სათავეში ედგა ქართულ მეცნიერებას, რესპუბლიკის პირველ უმაღლეს სასწავლებელს. ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთერთი დამაარსებლის, 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მისი უცვლელი პრეზიდენტის, თანამედროვეობის თვალსაჩინო მათემატიკოსის, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპასტიკი პრეზიდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის, ლენინური და სახელმწიფოს პრემიის კომიტეტის წევრის განსაკუთრებული როლი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ, შემდეგ კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში დაფუძნებულები გახდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები გ. ს. ახელედიანი, ი. ს. ბერიტაშვილი, ნ. ნ. ჯანაშია, ა. ი. ჯანელიძე, კ. ს. ზავრიევი, ფ. ა. ზაიცევი, ტ. კ. კვარაცხელია, კ. ს. კეკელიძე, ნ. ნ. კეცხოველი, ა. ა. თავაშვილი, ფ. ნ. ჩუბინაშვილი, ა. ბ. შანიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბარბაროზ ალიევი, ბოტანიკის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ჰალეობიოლოგიის, ზოოლოგიის, ექსპერიმენტალური მორფოლოგიის დარგში. დიდძალი ენერგიით მეცნიერული შედეგები ამ პიროვნებებმა ეროვნული მეცნიერებათა ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკურ-ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებში. ქართველ მეცნიერთა მიერ შესრულებულ ბევრ მეცნიერულ ნაშრომს მინიშნებული აქვს ლენინური, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საფეხურიანი პრემიები.

ქართული მეცნიერების მიღწევები ფართოდაა დანერგული რესპუბლიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მეცნიერება სულ უფრო მტკიცდება უშუალო მწარმოებელი ძალა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIV -ყრილობის შემდეგ, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა მეცნიერების განვითარების ახალი ფართო პროსპექტები და მეცნიერთა ამოცანები სწრაფად განვითარებადი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში.

დღეს, თქვა შემდეგ ორატორმა, რესპუბლიკის მთელ მეცნიერულ ინტელიგენციას სამადლობელი სიტყვებით მივმართავთ ამ ღონისძიებთა აქტიური მხარდაჭერისა-თვის, რომლებიც მიზნად ისახავენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებას, იმისათვის, რომ მხარი დაგვჭიროს სახალხო მეურნეობაში გარეული ჩამორჩენის დასაძლევად. რესპუბლიკაში ვითარების გასაჯანსაღებლად. ნორმალური მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად ბრძოლაში.

ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ მეცნიერებზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებისათვის მუშაობაში. ჩვენმა მეცნიერებმა, და პირველ რიგში, მეცნიერებათა აკადემიამ, თქვა ორატორმა, შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეასრულონ რესპუბლიკის მეურნეობის სამეცნიერო ტექნიკურ ინსტიტუტების სრულყოფის, ენერგეტიკის განვითარების, ფართო გეოლოგიური ძიებათა მოწყობის ეროვნული გეგმაკეთებები.

სეროიზული მეცნიერული ყველა მოელით მეცნიერებს კოლეგა-თან დაბლოს მიწების ამოწურ-ბასთან, კაზრეთ-ახალქალაქის ახალი რკინიგზის ხაზისა და კავკასიონის სუფლტეხილო რკინიგზის, საბაგირო გზების შენებლობასთან, შავი ზღვის სანაპიროთ ნაპირსამაგრი სამუშაოების, საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციული შენობების შენებლობასთან დაკავშირებით. დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემები წამოიჭრება იმასთან დაკავშირებით, რომ დაინერგოთ გარემო, მოეწიოთ უხეი და სტაბილური მოსავალი, გადავიყვანოთ სასოფლო-საეურნეო წარმოება თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე, მკვეთრად აკმაღლოთ შეკნოვლეობის დონე.

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი, რომელზეც დიდი ყურადღება დაეთმო მეცნიერების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერების, შემდგომი განვითარების საკითხებს. პრაქტიკაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მეცხოველეობის განვითარებაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის პრობლემებს. როგორც ითქვა, სოფლის მეურნეობის მუშაკები და, კერძოდ, მეცხოველეები ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის და მისი ინსტიტუტების, განსაკუთრებულ ინტერესებს ელოდებიან. ამ მიზნით მოელიან საპრობლემების ბრძოლაში ბრძოლაში გადაყვანას.

ორატორმა ალაპარაკა ეროვნული ეკონომიკის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ჰალეობიოლოგიის, ზოოლოგიის, ექსპერიმენტალური მორფოლოგიის დარგში. დიდძალი ენერგიით მეცნიერული შედეგები ამ პიროვნებებმა ეროვნული მეცნიერებათა ისტორიის, ოქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული ლიტერატურისა და ქართული ხელნაწერთა ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, სამართალმცოდნეობისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებში. ქართველ მეცნიერთა მიერ შესრულებულ ბევრ მეცნიერულ ნაშრომს მინიშნებული აქვს ლენინური, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები.

ქართული მეცნიერების მიღწევები ფართოდაა დანერგული რესპუბლიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მეცნიერება სულ უფრო მტკიცდება უშუალო მწარმოებელი ძალა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIV -ყრილობის შემდეგ, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა მეცნიერების განვითარების ახალი ფართო პროსპექტები და მეცნიერთა ამოცანები სწრაფად განვითარებადი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში.

დღეს, თქვა შემდეგ ორატორმა, რესპუბლიკის მთელ მეცნიერულ ინტელიგენციას სამადლობელი სიტყვებით მივმართავთ ამ ღონისძიებთა აქტიური მხარდაჭერისა-თვის, რომლებიც მიზნად ისახავენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებას, იმისათვის, რომ მხარი დაგვჭიროს სახალხო მეურნეობაში გარეული ჩამორჩენის დასაძლევად. რესპუბლიკაში ვითარების გასაჯანსაღებლად. ნორმალური მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად ბრძოლაში.

ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ მეცნიერებზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებისათვის მუშაობაში. ჩვენმა მეცნიერებმა, და პირველ რიგში, მეცნიერებათა აკადემიამ, თქვა ორატორმა, შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეასრულონ რესპუბლიკის მეურნეობის სამეცნიერო ტექნიკურ ინსტიტუტების სრულყოფის, ენერგეტიკის განვითარების, ფართო გეოლოგიური ძიებათა მოწყობის ეროვნული გეგმაკეთებები.

ამ ხანგრძლივ ოვაციებს ელოდა ჩვენ მეცნიერებს, ინტერნაციონალიზმის გრძნობის ჩანერგვაშიც. საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შრომისა და საზოგადოებრივი საკითხებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, შეგვიტანონ დისციპლინისა და ორგანიზებულობის სულისკვეთება შრომისადმი ოლიმპიურ, მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებაში, წინ აღუდგნენ ყველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს.

თუ ამ მუშაობას აქტიურად წარმართავთ, იგი დაგეხმარება უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ ის ნეგატიური მოვლენები, რომლებსაც ამ კოტა ხნის წინათ ადგილი ჰქონდა რესპუბლიკაში, მთლიანად აღვადგინოთ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის ეკონომიკის მეცნიერთა წინაშე, რომლებმაც უნდა დაამუშაონ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ყველაზე აქტუალური საკითხები, გამოხახონ მატერიალური და ეფექტიანი გამოყენების გზები, შეიმუშაონ საწარმოო ძალების რაციონალური განაწილებისა და ტექნიკურ-ეკონომიური პრობლემების გადაჭრის პრინციპები, ერმოდ ჩასწავლონ სოციალისტური შეჯიბრების თეორიული ასპექტებს.

როგორც ვხედავთ, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ჩვენი მეცნიერების წინაშე დასახულია ალიან დიდი, ძალიან სერიოზული, ჭეშმარიტად დიდებული ამოცანები. ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია საქართველოს მეცნიერებს; შეუძლია საქართველოს სსრ სახელოვან მეცნიერებათა აკადემიის ნიჭიერ, ენერგიულ, საქმიან, მეცნიერებისა და ხალხის ინტერესების ერთგულ კოლექტივს.

ამ რწმენას, რომ დასახული ამოცანების განხორციელება შესაძლებელია, მტკიცე საძირკველი აქვს — იგი ემყარება საბჭოთა კავშირის კომუნისტიერ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა მეცნიერების ყოველმხრივი განვითარებისათვის. მას საფუძვლად უდევს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, მეტად მაღალი მეცნიერული პოტენციალი და აქვს მტკიცე წიადაკი — ყურადღებიანი და მზრუნველი დამოკიდებულება ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების ზრდისადმი, სოციალისტური საშრომლოს, კომუნისტური მშენებლობის საქმის ერთგული მეცნიერთა ახალი თაობების აღზრდისადმი.

სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს, აღნიშნა ორატორმა, მეცნიერებაში დიდ წარმატებებს მხოლოდ მაშინ ვიღებ-ენ, თუ სწორად შეეუფაროთ ერთმანეთს ეროსული თაობის მეცნიერთა ცოდნა-გამოცდილებასა და ახალგაზრდა მეცნიერთა ენერგიას, მგზნებარებასა და შეგართებას. ამიტომ საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ ახალგაზრდა მეცნიერებზე, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად ამოუდგნენ მხარში ჩვენი მეცნიერების მხეოვან მოოკეზეებს.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ დასახელა ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებმაც უკვე შეიტანეს წვლილი ქართული მეცნიერების განვითარებაში, და თქვა, რომ მეცნიერთა ახალი თაობის აღზრდა ჩვენი

საზეიმო სხდომის დარბაზში. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აკადემიის, ყველა ჩვენი პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. მიტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ახალგაზრდა მეცნიერებმა ზრდნენ, მაგრამ ყურადღებიანი დამოკიდებულება შრომული იყოს მადალ მომთხოვნელობასთან.

ყოველივე ეს უნდა ითქვას დღეს, რადგან ბრძოლა მეცნიერისათვის, საჭირო თვისებები ახალგაზრდობას სკოლის მერხიდანვე, უმაღლეს სასწავლებელშიც უნდა ჩავუნერგოთ. ქალაშვილები და ბიჭები უნდა შევაჩვიოთ ახრს, რომ მეცნიერებაში არ არის იოლი და გაკაფული გზები. რომ მისი მწვერვალებისაკენ მივაღწიოთ კლდოვან ბილიკებს, რომლებსაც გაბედულად უნდა შეეუდგეთ და დაღლილობამ არ უნდა შეგაკავოს.

შემთხვევითი როდია, რომ მარქსი წერდა: მეცნიერების კართან, ისევე როგორც ჯოჯოხეთის კართან, გამოკრული უნდა იყოს დანტეს მოთხოვნა:

„აქ საჭიროა უდრეკი სული,
აქ შიში უნდა დაამორჩილო“.

სწორედ უდრეკი სული, უშიშრობა, გმირობა და ვაჟკაცობა, გამბედაობა. დასახული მიზნის მიღწევაში, თავმდაბლობა უნდა ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას, რომელმაც ალაფწევტა მეცნიერებას ემსახუროს. ჩვენ უნდა ჩავუნერგოთ მას, პირველ რიგში, დიდი შრომისმოყვარეობა, თვითკრიტიკულობა, შინაგანი დისციპლინა, შრომის მაღალი კულტურა. დიე თვითეული განმსჭვალოს შეგნებით, რომ ვისაც სურს წარმატებას მიაღწიოს მეცნიერებაში, მეცნიერება კი არ უნდა უნდოდეს თავისი თავისთვის, არამედ თვითონ უნდა შეალიოს თავი მეცნიერებას და ჩაეყენოს იგი ხალხისა და სამშობლოს სამსახურში!

ხოლო იმისათვის, რომ მეცნიერება უანგაროდ, სრული უკუგებით ემსახურებოდეს ხალხს, უნდა მივაღწიოთ, რომ მეცნიერთა კოლექტივებში სუფევდეს ჭეშმარიტად შემოქმედებითი ვითარება, სპეტაკი ზნეობრივი ატმოსფერო, ღრმა პარტიულობისა და მეცნიერული პრინციპულობის ატმოსფერო. მონოპოლიზმი, ამბიცია, კონსერვატიზმი. წვრილბურჟუაზიული შეშჩენობა და ყოყოჩობა, მაამებლობა და მლიქნელობა, სიყალბე და თვალთმაქცობა, პროტექციონიზმი და საქმისადმი ანგარებანი დამოკიდებულება — ყოველივე ეს შეუწყნარებელია მეცნიერებაში, და ასეთი განწყობილებების ყოველგვარი, ყველაზე უმნიშვნელო გამოვლინებაც კი გადაჭრით და უკომპრომისოდ უნდა აღკეკვთო.

ის მასშტაბური, გლობალური პრობლემები და ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა მეცნიერების წინაშე, წარმატებით შეიძლება გადაეწყვეტოთ მხოლოდ დიდი სამეცნიერო კოლექტივების შეწყობილი მუშაობის პირობებში. ამიტომ განუწყვეტლივ უნდა ეაფართოებდეთ ჩვენი აკადემიის მეცნიერულ კავშირურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებთან, ხელი ეშველოდეთ მომმე რესპუბლიკების მეცნიერთა შემოქმედებითს თანამეგობრობას. მეცნიერება, ისევე როგორც საერთოდ მთელი კულტურაც, თავისი ბუნებით ინტერნაციონალური, და მისი მიღწევები უნდა ემსახურებოდეს მთელ საბჭოთა ხალხს, მთელ კაცობრობას, მშვიდობას, პროგრესს და სოციალიზმს. და რაც უფრო ფართოა მეცნიერული კავშირურთიერთობა, რაც უფრო მტკიცეა ეს ინტერნაციონალური მეგობრობა, მით უფრო მშვიდოა ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის მეცნიერ მუშაკთა ინტერნაციონალურ რაზმებს შორის, მით უფრო დიდი, მით უფრო საგრძნობია შედეგები, რომლებსაც ყველა მომმე მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერები აღწევენ. ხოლო ყოველგვარი კარჩაკეტილობა, განცალკევებულობა იწვევს ჩამორჩენას, კონსერვატიზმს და, საბოლოო ანგარიშით, პროვინციალიზმს, რომელთა დროს შეუძლებელია, წარმოუდგენელია მეცნიერული აზრის წინსვლა, ისევე როგორც თვით მეცნიერების განვითარებაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა მაღალ შეფასებას აძლევენ მეცნიერთა დიდ და მრავალმხრივ მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამ მაღალი შეფასების გამოხატულებაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით.

მე, თქვა ამხ. შევარდნაძემ, წ�მხედა მაღალი და სასიამოვნო მისია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სახელით ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

შემდეგ ამხანაგმა შევარდნაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საზეიმო სხდომის მონაწილეთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხალხთა მეგობრობის ორდენი მიაბნია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დროშას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი ამოცანა, მიტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ახალგაზრდა მეცნიერებმა ზრდნენ, მაგრამ ყურადღებიანი დამოკიდებულება შრომული იყოს მადალ მომთხოვნელობასთან.

ეს, თქვა ამ. შევარდნაძემ, ნიშნავს ალიარება ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების დარგის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაწყვეტა. მნიშვნელოვნად შეამცირონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის ვადები, მაკსიმალურად მოუყარონ თავი მეცნიერულ ძალებს, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს მეცნიერების წამყვანი და პერსპექტიული მიმართულებით.

ეს დიდი მასშტაბისა და რთული ამოცანები მოწმობენ, რომ გაიზარდა მეცნიერებისადმი მოთხოვნები, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებაში მეცნიერულ ცოდნას მთავარი როლი ეკუთვნის და მაღლდება სწავლულთა პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპისათვის.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნით საქართველოს მეცნიერებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დიდ ყურადღებას უთმობს [illegible] ეროვნულ-თეორიულ საკითხებს, [illegible] ეროვნული ურთიერთობის [illegible] ეროვნული ურთიერთობის [illegible] ეროვნული ურთიერთობის

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ლისაბონი, (საკადესი). პორტუგალიის მეექვსე დროებითი მთავრობის შექმნის ამოცანა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე იმ მომენტში ჰქონდათ წარმოდგენილი, როცა გამოაცხადეს, რომ სამმა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ — კომუნისტურმა, სოციალისტურმა, სახალხო-დემოკრატიულმა და შეიარაღებული ძალების მოძრაობამ შეათანხმეს მთავრობის საერთო პროგრამა. ყველაზე მეტ დავას კვლავ იწვევს მინისტრთა პოსტების განაწილების საკითხები.

- დავა მინისტრთა პოსტების განაწილების გამო
- ა. კუნიალის გამოსვლა
- კომუნისტები რევოლუციის საფარველზე

სიძნელეებს ამწვევებს ისიც, რომ ბრძოლაზიული სახალხო-დემოკრატიული პარტია ორჯერ მეტ მინისტრთა პორთფელს მოითხოვს თავისთვის, ვიდრე გათვალისწინებულია კომპარტიისთვის.

ლისაბონის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ სახალხო-დემოკრატიული პარტიის ასეთი პრეტენზია ეწინააღმდეგება ერობლივი მოქმედების პლატფორმის შესახებ შეთანხმების პირობებს. რომელიც აპრილში დადეს პოლიტიკურმა პარტიებმა (მათ შორის სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ) და შეიარაღებული ძალების მოძრაობამ.

კვლავ უთანხმოებაა აგრეთვე მასობრივი ინფორმაციების ორგანოებში მდგომარეობის საკითხზე და შრომის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, განათლებისა და მეცნიერული კვლევის მინისტრთა პოსტებზე დანიშვნის გამო.

როგორც ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, მთავრობის შემადგენლობის საკითხში წარმოშობილი სიძნელეები მოწმობენ, რომ კონსერვატიული ძალები ცდილობენ შეაფერხონ ან ჩაშალონ ყოველ კაბინეტის შექმნა პინეირუ დი აზევედუს მეთაურობით.

ლისაბონი, (საკადესი). პორტუგალიის კომუნისტურმა პარტიამ ლისაბონში გამართა მასობრივი მიტინგი რევოლუციის დასაცავად.

მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა აღნიშნა, რომ პორტუგალიაში ახლა მძიმე პოლიტიკური კრიზისია, რომელსაც მოაყენა მემარცხენე ძალების გათიშვა და ვასკუ გონსალვესის მეთაურობით მეხუთე დროებითი მთავრობის გადადგომა. განხეთქილება მოხდა ლმაღლეს პოლიტიკურ ორგანოებში — მთავრობასა და შეიარაღებული ძალების მოძრაობაში. მაგრამ შეიარაღებული ძალების მოძრაობა მტკიცე რევოლუციონერების წყალობით კვლავ პორტუგალიის რევოლუციის დიდმნიშვნელოვანი დინამიკური და დამრაზმველი ძალა, მისი მოწინავე რაზმია. შეიარაღებული ძალების მოძრაობის მოსპობა საფრთხეს შეუქმნიდა მთელ რევოლუციურ პროცესს.

მხოლოდ კომპარტიასთან ერთად, თქვა მან შემდეგ, შეიძლება გადავკრთ დემოკრატიული პორტუგალიის სეროიოზული პრობლემები და თავი დავაღწიოთ მძიმე პოლიტიკურ კრიზისს.

ჩვენი აზრით, თქვა ა. კუნიალმა, კრიზისისათვის თავის დაღწევა შეუძლია მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელსაც მხარს უჭერენ შეიარაღებული ძალების ძირითადი დაჯგუფებები, მემარცხენე პარტიები, სოციალისტური პარტია. მან თქვა, რომ ახლანდელ მძიმე პერიოდში სოციალისტურმა პარტიამ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის შექმნაში.

ᲨᲔᲛᲢᲐᲙᲘᲛᲑᲘᲡᲑᲘ ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲨᲘ

ბეირუთი, (საკადესი). წუხელ მკვეთრად გამწვავდა ვითარება ბეირუთში. შეტაკებებს მძიმე იარაღის გამოყენებით უფრო ფართო გაქანება მიეცა. როგორც დღეს ბეირუთის რადიო იუწყება, შეტაკებები მოხდა პრაქტიკულად ქალაქის ყველა რაიონში. ქალაქის მცხოვრებლებს ტრაიეს შინიდან არ გამოვიდნენ.

დედაქალაქის ზოგიერთ უბანში გაჩნდა ხანძარი. ბეირუთის გუბერნატორმა მოსახლეობას მოუწოდა დაეხმაროს მიხანძრევებს ცეცხლის ჩაქრობაში.

ლობანის მთავრობა აწარმოებს კონსულტაციებს ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან დედაქალაქში მდგომარეობის ეს-წრაფელი ნორმალიზაციის მიღწევის მიზნით. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ახორციელებენ ლონისძიებებს, რათა შექმნან ერიანული შერიგების კომიტეტი, რომელშიც უნდა შევიდნენ ქრეენის ყველა პოლიტიკური პარტიისა და რელიგიური თემის წარმომადგენლები.

18 სექტემბერი

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲠᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ

ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

ᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲘᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ

ᲕᲔᲜᲡ ᲑᲠᲐᲜᲓᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ნიუ-იორკი, (საკადესი). არსებული მოლაპარაკების თანახმად, ხვალ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ისტორიული კოსმოსური ექსპერიმენტის მონაწილენი ამერიკელი კოსმონავტები თ. სტაფორდი, დ. სლეიტონი და ვ. ბრანდი ცოლ-შვილთანად ორი კვირით მოფრინავენ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი მოგვიანებით საპასუხო ვიზიტით ეწვევიან შეერთებულ შტატებს.

ჩვენ უდიდესი მოუთმენლობით ველით ჩვენს „კოსმოსურ“ კოლეგებთან — საბჭოთა კოსმონავტებთან ა. ლეონოვთან დ ვ. კუბასოვთან შეხვედრას მათ მშობლიურ მიწა-წყალზე, უთხრა ტელეფონით საკადესის კორესპონდენტს პუუსტონის (ტეხასის შტატი) პილოტირებული ფრენის ცენტრიდან სომალოდ „აპოლონის“ ეკიპაჟის წევრმა ვენს ბრანდმა.—ჩვენ მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ვეწვიოთ საბჭოთა კავშირს, ჩავიდეთ ციმბირში, კავკასიაში, სახელგანთქმულ ვოლგოგრადში, ძველ კიევში.

მე და ჩემს კოლეგებს თ. სტაფორდსა და დ. სლეიტონს საუკეთესო შთაბეჭდილებანი დაგვიტოვა საბჭოთა ხომალდის „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ერთად ფრენამ. ტექნიკა ორივე მხრივ, როგორც დედამიწაზე, ასევე ფრენის დროს, უზადოდ მუშაობდა. ჩვენ და საბჭოთა კოსმონავტებს არავითარი პრობლემა არ წამოგვჭრია. ყველაფერი უფრო უკეთაც კი იყო, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ასევე უზადო იყო ფრენის მართვის საბჭოთა და ამერიკული ცენტრების კოორდინაცია.

რაც შემეხება მე, პირველი ვითხოვ მონაწილეობას კოსმოსში მომავალ შესაძლო ერთობლივ ექსპერიმენტებში. საბჭოთა კოსმონავტები და სპეციალისტები შესანიშნავი ადამიანები არიან, მათთან ადვილი და საინტერესოა მუშაობა, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ბრანდმა.

ჩვენ მოუთმენლად ველით ა. ლეონოვისა და ვ. კუბასოვის და მათი ოჯახების საპასუხო ვიზიტს ამერიკის მიწა-წყალზე.

დასასრულ ვ. ბრანდმა რუსულად თქვა: „ჩვენ ძალიან გვინდა ვეწვიოთ სსრ კავშირს, რათა ჩვენი თვალით ვნახოთ მრავალი ასალი და საინტერესო საბჭოთა კავშირში, კვლავ შეხვდეთ ალექსისა და ვალერის. ნება მიბოძეთ ჩემი კოლეგების თ. სტაფორდისა და დ. სლეიტონის სახელით, პირადად ჩემი სახელით თქვენი საგენტოს მეოხებით გულითადად მივესალმო მთელ საბჭოთა ხალხს. მალე შეხვედრამდე“.

ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ვაშინგტონი, (საკადესი). მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და მათი მოსპობის შესახებ, აგრეთვე უენეთის 1925 წლის ოქმს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხანგრძლივი დროის განმავლობაში კვლავ ამუშავებდა და იყენებდა ასეთ იარაღს. ამგვარი მოქმედება განხილვის თემად გადაიტანა სენატის სადაზვერვო ორგანოების საქმიანობის გამოძიების სპეციალური კომისიის სხდომაზე.

ეს პირველი ღია სხდომაა კომისიისა, რომელიც საზოგადოებრიობის ზეგავლენით შეიქმნა მიმდინარე წლის დასაწყისში.

როგორც სხდომის გახსნისას განაცხადა სპეციალური კომისიის თავმჯდომარემ ფ. ჩერჩმა, ახლანდელი მოსმენის საგანი ის არის, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უკანონოდ ფლობს მომაკვდინებელ მომწამველ ნივთიერებებს, თუმცა ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა განკარგულება გასცა მათი მოსპობის შესახებ და „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქვეყნოდ იკისრა საერთაშორისო ვალდებულება, რომ არ იქონიებს ამგვარი იარაღის არსენალებს“.

სხდომაზე გამოვიდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალური პირები, ოფიციალური ორგანოებისა და ეროვნული ლიდერების ოჯახის წევრები, ექიმები, ეკლესიის მოღვაწეები, ადვოკატები, ჟურნალისტები, ფილოსოფოსები, ინჟინრები, ბიოლოგები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ეკონომისტები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ბანკირები, ბიზნესმენები, ფერმერები, ბანკირები, ბიზნესმენები, ფერმერები, ბანკირები, ბიზნესმენები, ფერმერ

სპორტი

ჭიდაობა — დევან თედიაშვილი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი

გუშინ მინსკის სპორტის სასახლეში საოფლიოა ჩემპიონატზე ოთხჯერ გაისმა ჰიმნი ქვეყნის სახელმწიფო კიბნის დიდებული მელოდიები.

ჭიდაობის მოყვარულნი მხურვალედ ეიესალმებოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან თედიაშვილის ახალ გამარჯვებას.

... და როგორ ფლოდით: ამ გამარჯვებას ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრები, როგორი იმედი გვქონდა მისი წარმატებისა. ლევანი კარგად გრძნობდა დაკისრებულ დიდ მოვალეობას (მინსკის ჩემპიონატზე ჭიდაობის ქართული სკოლა ხომ ლ. თედიაშვილითა და სამბისტ ი. მადალაშვილით არის წარმოდგენილი) და გულდაგული ბრიგადა წინ. სანუკვარი მიზნისაკენ. იგი ზედიზედ იმორებდა ზედან ჩემპიონობის პრეტენდენტებს: ბულგარელ ი. ბილოფს, იაპონელ კ. მაეტოს... ფინალში კი ლევანს მეტოქე იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი მსოფლიო პირველობათა ბრონზეულის პრიზიორი ჰორსტ შტრო